ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 184 (3668)

18

1968 წ. სექტემბერი. ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

სურათზე: ტყიბულის ახალი სტადიონის საერთო ხედი საზეიმო გახსნის დღეს.

ფოტო ვ. გენგიურისა.

წერილი ამ ახალი სარბიელის შესახებ იხ. მე-2 გვ.




# დაე, იზეიმოს ახალგაზრდობამ, სილამაზემ...

მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა მორიგი დიდი ფორუმის — მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 24 დღე. ოლიმპიადის დედაქალაქიდან ყოველდღიურად უხვად მოდის სხვადასხვა ცნობები, რომლებიც ეხება ოლიმპიადის პირველ სტუმრებს, სპორტულ სარბიელთა მზადყოფნას, ადგილობრივ მკვიდრთა დიდ აღფრთოვანებას, მათ ქალაქში თამაშების მოწყობის თაობაზე. ოლიმპიურმა სოფელმა უკვე მიიღო პირველი სტუმრები. მათ შორის არიან საბჭოთა სპორტსმენებიც. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა უკვე დაიწყეს საწვრთნელი ვარჯიში და გაცხოველებით ემზადებიან მომავალი ბატალიებისთვის.

მეხიკოს XIX ოლიმპიადას მიეძღვნა მოსკოვში გამართული პრესკონფერენცია, რომელზეც განცხადებით გამოვიდა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ს. პავლოვი. მან ილაპარაკა მეხიკოს მომავალი შეჯიბრებების დიდ მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ სსრ კავშირის ახლანდელი ოლიმპიური გუნდი გაცილებით ახალგაზრდაა მის წინამორბედზე — ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილე კოლექტივზე. საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში შევიდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი — მოსწავლე, მუშა, სტუდენტი, პედაგოგი, ინჟინერი, ექიმი და სხვ.

ამხ. ს. პავლოვმა თავისი განცხადება ასე დაამთავრა: „დაე, ოლიმპიადამ ბევრი სიურპრიზით გაგვახაროს, დაე, იზეიმოს ახალგაზრდობამ, სილამაზემ, ჰარმონიამ, ჭეშმარიტმა სპორტულმა კეთილშობილებამ".

დასასრულ ს. პავლოვმა უპასუხა უცხოელ და საბჭოთა ჟურნალისტების შეკითხვებს.

# დასკვნითი ეტაპის წინ

კაუნასი, 17 სექტემბერი (დეპეშით). დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ეტაპი. გუნდები 1 ოქტომბრამდე დაისვენებენ და შემდეგ თბილისში, დასკვნითი ეტაპის შეხვედრებში გაარკვევენ საპრიზო ადგილების ბედს.

აქ თბილისის „ბურევესტნიკმა" კარგად დაიწყო, მაგრამ წარუმატებლად დაამთავრა: ბოლო ორ შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულა მოაგროვა. მეექვსე ტურში იგი აუტსაიდერის — რიგის „დაუგავას" წინააღმდეგ იმდენად უსუსურად თამაშობდა, რომ თბილისელთა ამღელვანდელი გამოსვლა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. პირველი ნახევარი ჩვენმა ხელბურთელებმა მეტოქეს სამგოლიანი უპირატესობით დაუთმეს — 12:15. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი შესვენების შემდეგ მაინც გამოასწორებდნენ თამაშს, იბრძოლებდნენ 2 ქულის მოპოვებისთვის, ვინაიდან ახლა ყველა ქულას ხომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა — მეორე ტაიმშიც აშკარა იყო „დაუგავას" უპირატესობა და საბოლოოდ მატჩიც მისი გამარჯვებით დამთავრდა — 25:19.

ბოლო ტურში თბილისელთა მეტოქე გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი მოსკოვის „კუნცევო" გახლდათ. ამჯერად „ბურევესტნიკმა" დამაკმაყოფილებლად ითამაშა და პირველი ტაიმი მოიგო კიდეც — 13:10. შესვენების შემდეგ უპირატესობა დაჰკარგა და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა — 22:22.

სხვათა შეხვედრები ასე დამთავრდა: VI ტური. „კუნცევო" — ასკ 26:9, „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი)—„ალუმინსტროი" 19:17, საავიაციო ინსტიტუტი — „ჟალგირისი" 24:24; VII ტური. „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — „დაუგავა" 18:11, ასკ — საავიაციო ინსტიტუტი 19:26, „ჟალგირისი" — „ალუმინსტროი" 19:16.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის საავიაციო ინსტ. | 18 | 15 | 3 | 0 | 448:347 | 33 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 18 | 12 | 3 | 3 | 382:305 | 27 |
| „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) | 18 | 10 | 1 | 7 | 352:321 | 21 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 18 | 9 | 1 | 8 | 352:325 | 19 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 18 | 8 | 3 | 7 | 335:343 | 19 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 18 | 7 | 2 | 9 | 372:384 | 16 |
| ასკ (კიევი) | 18 | 6 | 2 | 10 | 286:361 | 14 |
| „დაუგავა" (რიგა) | 18 | 6 | 1 | 11 | 327:366 | 13 |




ლენინგრადში, მინსკსა და ლუგანსკში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ჩემპიონატის XXIX ტურის მატჩები.

„ზარია" (ლუგანსკი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:0.

ცხრილში შეტანილი არ არის „დინამო" (მინსკი) — „ლოკომოტივის" (მოსკოვი) შეხვედრა.

## სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 29 | 17 | 10 | 2 | 43—17 | 44 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 28 | 16 | 6 | 6 | 44—28 | 38 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 28 | 13 | 10 | 5 | 42—28 | 36 |
| ცსკა | 28 | 13 | 9 | 6 | 36—23 | 35 |
| „დინამო" (მინსკი) | 27 | 12 | 9 | 6 | 29—21 | 33 |
| „დინამო" (თბილისი) | 28 | 11 | 10 | 7 | 32—17 | 32 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 29 | 12 | 8 | 9 | 37—28 | 32 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 28 | 10 | 11 | 7 | 39—34 | 31 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 27 | 10 | 11 | 6 | 28—24 | 31 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 28 | 8 | 12 | 8 | 25—33 | 28 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 27 | 8 | 10 | 9 | 27—26 | 26 |
| ასკ (როსტოვი) | 28 | 9 | 8 | 11 | 34—36 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 28 | 8 | 9 | 11 | 18—21 | 25 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 29 | 8 | 9 | 12 | 16—32 | 25 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 28 | 8 | 8 | 12 | 26—36 | 24 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 6 | 8 | 15 | 23—35 | 20 |
| „არარატი" (ერევანი) | 27 | 7 | 5 | 15 | 24—38 | 19 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 28 | 6 | 7 | 15 | 18—32 | 19 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 28 | 6 | 7 | 15 | 28—49 | 19 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 28 | 4 | 9 | 15 | 16—32 | 17 |

## სპორტული საათი!

◆ პარიზი, 17 სექტემბერი. პორტუგალიის „ბენფიკას" ბომბარდირს ეუსებიოს გადაეცა ფრანგული ყოველკვირეული „ფრანს ფუტბოლის" პრიზი — „ოქროს ბუცები". ტრადიციის მიხედვით, ამ ჯილდოს იღებენ ევროპის ეროვნული ჩემპიონატების ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები. გასულ სეზონში ეუსებიომ მეტოქეთა კარში გაიტანა 42 ბურთი. „ვერცხლის ბუცები" მიიღო უნგრელმა ა. დუნაიმ („დოჟა"). იგი ავტორია 36 გატანილი ბურთისა.

◆ სოლტ-ლეიკ-სიტი, 17 სექტემბერი. აშშ-ს მძლეოსანთა ოლიმპიადისწინა შეჯიბრებაზე სამმა სიმაღლეზე მხტომელმა აჩვენა 221 სმ. ყველაზე ნაკლები ცდა დაჭირდა გამოცდილ ე. კარაზერს. მეორე იყო ნაკლებად ცნობილი, 17 წლის რ. ბრაუნი, რომელმაც თავისი პირადი რეკორდი ერთბაშად 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა. III ადგილი დაიკავა დ. ფოსბიურიმ. 1500 მეტრზე რბენის ფინალი მოიგო ჯ. რაიანმა — 3.49,4. მან ძლივს დაამთავრა დისტანცია. მსოფლიო რეკორდსმენმა განაცხადა, რომ იგი ძალზე ცუდად გრძნობს თავს მთიანეთში და თითქმის არ ძინავს ღამით.

◆ ბერლინი, 17 სექტემბერი. მეხიკოში გამგზავრების წინ მოწყობილ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონმა მ. მატუშევსკიმ მოიგო 800 მეტრზე რბენა. მისი შედეგი — 1.46,2. მან 02 წამით გააუმჯობესა 2 წლის წინათ ნაჩვენები შედეგი.

◆ ზელენა-გურა, 17 სექტემბერი. 23 წამი მოანდომა 200 მეტრის გარბენას ცნობილმა პოლონელმა სპორტსმენმა ქალმა ი. კირშენშტეინ-შევინსკამ. ეს მოხდა პოლონელ მძლეოსანთა ჩემპიონატზე. აქ 400 მეტრზე თარჯრბენში ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა ვ. ვაინშტაიდმა — 50,4. ვ. ნიკოჩუკის შუბმა 85,72 მ იფრინა. ვაჟთა 400 მეტრზე რბენაში ახალგაზრდა ი. ვერნერმა აჯობა სახელგანთქმულ ა. ბადენსკის. ორივეს შედეგია 46,2 წამი.

◆ მეხიკო, 17 სექტემბერი. ოლიმპიადაზე ჩამოსული სპორტსმენები უკვე შეუდგნენ წვრთნას. უნივერსიტეტის საწყლოსნო აუზში პირველნი მოვიდნენ იტალიელი წყალბურთელები, რომელთა შორის ოთხი მოთამაშე 1960 წლის „ოქროს გუნდის" წევრები არიან. ოლიმპიურ სოფელში ვარჯიშობენ აგრეთვე, საბჭოთა მძლეოსნები. ერთ-ერთი ვარჯიშისას მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ლუსისმა შუბი 90 მეტრზე ტყორცნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ზეიმი ტყიბულის სტადიონზე



საზეიმო განწყობილება დილიდანვე შეიმჩნეოდა. ქალაქის თვალსაჩინო ადგილებსა და ტრანსპორტზე გაკრული აფიშები ყველას ახალი სტადიონის გახსნის ზეიმზე იწვევდა. ნაშუადღევს ქალაქში მოძრაობამ საგრძნობლად იმატა. მოდიან ხალხით დატვირთული მსუბუქი და საბარგო მანქანები. ჩამოვიდა სპეციალური, დამატებითი მატარებელი.

დღეს იხსნება მეშახტეთა ქალაქის ცენტრალური სტადიონი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში თავისი მდებარეობით, უმაღლესი ხარისხის მინდვრით, კეთილმოწყობილი გასახდელებით და სხვა სათავსოებით.

სტადიონის მიდამოებში დაირგო ახობით მწვანე ნარგავი. აღმოსავლეთის მხრიდან ლამაზად გაფორმებულ ათმეტრიან ლითონის ბადეს ამშვენებს წარწერა: „ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის სტადიონი“.

სტადიონის 17-ათასიანი საჯდომი ადგილები საზეიმო გახსნამდე კარგა ხნით ადრე შეივსო. აქ არიან სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან, მეზობელი რაიონებიდან. სრულ 17 საათსა და 30 წუთზე ლენინური კომკავშირის სახელობის მეშახტე ახალგაზრდობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის წევრებმა ფანფარებით იქ მყოფთ აუწყეს საზეიმო ცერემონიალის დაწყება. სტადიონის სამხრეთ - აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ სპორტსმენთა კოლონები. მოედანზეა ქალაქის 1500-ზე მეტი მოსწავლე.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ლომაძემ დამსწრეთა ტაშის გრიალში გაჭრა ლენტი — სტადიონის გახსნის ნიშანი და მიესალმა შეკრებილთ. სპორტსმენებს, ქალაქის საზოგადოებრიობას მიულოცა ძვირფასი საჩუქარი.

—რაიონის მოსახლეობამ დიდი შრომა გასწია ამ შესანიშნავი ბაზის ასაგებად,—ამბობს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. სახვაძე.—წინათ, სწორედ ამ ადგილას მთიდან მომავალი ნაკადულები იყრიდნენ თავს და ქმნიდნენ ხევს. 8 წლის მანძილზე ადამიანებმა უსასყიდლოდ იმუშავეს. ძნელია დაასახელო კოლექტივი, რომელსაც თავი არ გამოეჩინოს. ყველა მონდომებითა და სიყვარულით შრომობდა: ტყიბულშახტშენის სამართველოს, ტყიბულქვანახშირის ტრესტის საამშენებლო სამმართველოს, ვ. ლენინის, ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტების, № 815 სამშენებლო სამონტაჟოს კოლექტივის, შაორჰესისა და ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოების გვერდით შრომობდნენ სოფლების — ორპირის, საწირეს, ცუცხვათის, სოჩხეთის, კურსებისა და სხვა სოფლების კოლმეურნეები... არ დარჩენილა ქალაქის არც ერთი ორგანიზაცია და დაწესებულება, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს ამ საშვილიშვილო საქმეში.

დაიწყო სპორტული ზეიმი, ტრიბუნებს ჩაუარეს მოტოციკლისტთა და ველომრბოლელთა კოლონებმა. ფეხბურთის მარშის ხმაზე მოედანზე გამოვიდნენ „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდები — ადგილობრივი „მეშახტე“ და თბილისის „ლოკომოტივი“. ბურთი თამაშში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ შეიყვანა...



ვ. გენბიური.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ტყიბული.

• • •

სურათებზე: ზევით — პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ლომაძე სჭრის ლენტს. ქვევით, მარცხნივ — ველოსიპედისტები ზეიმზე; მარჯვნივ — სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბ. პაიჭაძეს ბურთი შეჰყავს თამაშში.

ფოტო ავტორისა.

# დიდი მატჩის ირგვლივ



### „ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ?!“

ასეთ განსაკუთრებულ და უჩვეულო ინტერესს პრეტენდენტთა მატჩისადმი ორგანიზატორები არ მოელოდნენ. მაყურებელი მოეძალა. წესიერად ვერც გაიგებ, რა დროს იყიდება ბილეთები. ყოველ შემთხვევაში თამაშის დაწყებისთვის დარბაზში ვერც ერთ თავისუფალ ადგილს ველარ ნახავთ. „ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ?!“ — გაისმის ოქტომბრის კულტურის სასახლის შესასვლელთან.

პრეტენდენტებს უამრავი ქომაგი ჰყავთ. უნდა გენახათ, როგორი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ბ. სპასკი, როდესაც მან II პარტია მოიგო.

სპასკი თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოდის სატურნირო დარბაზში. მას მუდამ ახლავს გულშემატკივართა ამალა. ვ. კორჩნოის მხოლოდ მეუღლე დაჰყვება. ზოგჯერ იგი პრეს-ცენტრში შემოდის. მღელვარება რომ არ გასთქვას, ქართულად მეკითხება: „როგორ აქვს საქმე ვიქტორს?“ ბელა კორჩნოია ხომ თბილისელია.

### პრეს-ცენტრი ღელავს

ვის არ ნახავთ პრეს-ცენტრში! საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორ ნ. დიმარსკის დიდი არჩევანი აქვს — ვის დაუთმოს მიკროფონი. იგივე ითქმის მის უკრაინელ კოლეგაზეც.

სპასკის მწვრთნელი, დიდოსტატი ი. ბონდარევსკი 5 საათის მანძილზე დაფას არ სცილდება. არჩევს ყოველგვარ შესაძლო ვარიანტებს. „იგი სპასკის მწვრთნელი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ კორჩნოისა“ — ხუმრობენ ჟურნალისტები. მათ მხედველობაში აქვთ ის, რომ სწორედ კორჩნოი მთელი საღამო მაგიდას უზის. სპასკი ხშირად სეირნობს ხოლმე.

პრეს-ცენტრი ღელავს! განუწყვეტლივ წკრიალებს ტელეფონის ზარი. ხაზზეა მოსკოვი, ლენინგრადი, რიგა. ყოველდღე კიევში ჩამოდიან ჟურნალისტები. ვისგან აიღონ ინტერვიუ: სპასკისა და კორჩნოის ვერ შეაწუხებ, ფლორი და ბონდარევსკი თავს იკავებენ, ორივე კიეველი დიდოსტატი შორსაა (გუფელდი კისლოვოდსკში თამაშობს, ხოლო შტეინი, რომელიც კიევში გადმოვიდა საცხოვრებლად, ახლა ჰავანაშია), რჩება მხოლოდ... ტალი!

### „კარგი ახალგაზრდა ყოფილხართ!“

ტალი, მოგეხსენებათ, დიდოსტატი და ჟურნალისტია. თუ იგი, როგორც მოჭადრაკე, მეტისმეტად გაბედულია, სამაგიეროდ საკმაოდ ფრთხილი ჟურნალისტია. „სოვეტსკი სპორტის“ დამატებაში „64“-ში ტალი მატჩზე აკადემიურად წერს. ამბობენ, რიგელი დიდოსტატი უფრო გულახდილია ლატვიურ გაზეთებშიო.

ტალი ერიდება ჭადრაკზე ლაპარაკს, სიამოვნებით საუბრობს... ფეხბურთზე! მისმა საყვარელმა მოსკოვის „დინამომ“ საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა. „ნეტავ ასე მეთამაშა ივნისში, როდესაც კორჩნოის ვხვდებოდი“, — ხუმრობს ტალი.

— განა ფეხბურთელებიც ამდენს ლაპარაკობენ ჭადრაკზე, როგორც მოჭადრაკეები ფეხბურთზე? — შენიშნა ი. ბონდარევსკიმ.

— მერწმუნეთ, უფრო მეტს: — უპასუხა ტალმა, — ერთხელ ბელგრადში მივფრინავდი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად. მაშინ ვერ მოვახერხე ვერც ერთი ინტერვიუს აღება — სულ ჭადრაკზე მეკითხებოდნენ. მალაფეევმა მითხრა: „კარგი ახალგაზრდა ყოფილხართ! წერდნენ, თითქოს რეჟიმს არღვევთო. აღარ დავიჯერებ!“

### სულ ორიოდე კითხვა

სპასკისა და კორჩნოის შეწუხება, ახლა შეუძლებელია. მაგრამ თავისუფალ დღეს მაინც შევძელი სულ ორიოდე კითხვის მიცემა:

● **რატომ აირჩიეთ სათამაშოდ მაინცდამაინც კიევი?**

**სპასკი:** იმიტომ, რომ მე აქ არასოდეს მითამაშია.

**კორჩნოი:** აქამდე კიევში ყოველთვის წარმატებით გამოვდიოდი. შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს სპასკიმ ერთგვარი „უპირატესობაც“ მომცა, როდესაც კიევში თამაშზე დათანხმდა. ერთი „უპირატესობა“ მასაც აქვს: გაიხსენეთ, მატჩის მთავარი არბიტრი ს. ფლორი სამი წლის წინათ თბილისში სპასკი — ტალის მატჩს ხომ სჯიდა. ისიც გაიხსენეთ, მაშინ ვინ მოიგო!

● **ადრინდელი მატჩებიდან რომელი იყო უფრო ძნელი?**

**სპასკი:** ორივე — ე. გელერთან და ბ. ლარსენთან.

**კორჩნოი:** რა თქმა უნდა, ტალთან. ს. რეშევსკისგან მეტ წინააღმდეგობას მოველოდი.

გ. გამრეკელი.

კიევი.

[illegible]

### ქარელი

ამას წინათ ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რაიონის ფალავნის სახელზე. ორდღიანი ასპარეზობის შედეგად I ადგილი დაისაკუთრა ბრეთის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელმა გ. დვალიშვილმა.

შ. ბარჯაძე.

### ცხინვალი

გაიმართა ტრადიციული მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი № 1 ავტოსატრანსპორტო და თბილისის მსუბუქი ტაქსების № 1 კანტორების გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1.

ვ. მელქოევი.

# კუმ დასცა ლაზიერი

ჩვენი გაზეთის 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ვ. კალანდაძისა და რ. თავარიანის ეტიუდი სწორად ამოხსნეს: დ. გურგენიძემ (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ჩაილური), ნ. ფანჯაკიძემ (ბორჯომის რაიონი, დ. წაღვერი), დ. ახალაიამ (აბასთუმანი), ვ. დიდებულიძემ (კასპის რაიონი, სოფ. ახალქალაქი) და ა. ჭკადუამ (სოხუმი).

ეტიუდის ამოხსნა: 1. h8ლ+ ლ:h8 2. მფf5+ მფh7 3. ეh6+ მფ:h6 4. g5+ მფh7 5. g6+ მფg8 6. კc5 ლh6 7. კe3 ლh8 8. მფe6 მფf8 9. მფd7 ლg8 10. კc5×.

სსრ კავშირის პირველობა

# მინიმალური უპირატესობით

ბაქო. ვ. ი. ლენინის სახ. რესპუბლიკური სტადიონი. 16 სექტემბერი.
„ნეფტჩი" (ბაქო) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:1 (1:1).
„ნეფტჩი": კასენკოვი, ა. ბაბაევი, ბრუხტი, ი. ბაბაევი, სიომინი, სემიგლაზოვი, ბოგდანოვი, შევჩენკო, რახმანოვი, მარქაროვი, ალი-ზადე (სმოლნიკოვი).
„ტორპედო": კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ასიტაშვილი, ზარია, ნაჭყებია, ჭოლაძე, ვაკუა, ხერხაძე.
მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).
დუბლიორები — 1:1.

მართალია, ტორპედოელებმა ამ დღეს მარცხი განიცადეს, მაგრამ მათი თამაშის კლასი არაფრით არ ჩამორჩებოდა ბაქოელებისას. მეტსაც გეტყვით, 54-ე წუთზე რახმანოვის უძლიერესი და უზუსტესი დარტყმა რომ არა, ბრძოლა შესაძლოა მშვიდობიანად დამთავრებულიყო და ეს იქნებოდა ყველაზე უფრო სამართლიანი შედეგი.

რა უპირატესობა ჰქონდათ მასპინძლებს? ისინი უფრო აზარტულად თამაშობდნენ, მეტს დარბოდნენ და შთაბეჭდილებაც ისეთი იყო, თითქოს უფრო ხშირად უტევდნენ. „ნეფტჩის" საპირისპიროდ „ტორპედო" მოქმედებდა ნელ ტემპში, მაგრამ ნუ იფიქრებთ თითქოს ქუთაისელებს არ შეეძლოთ აქტიური თამაში. პირიქით, ნელი ტემპი, ეს იყო ავტოქარხნელთა ტაქტიკა, რომელსაც წონასწორობიდან უნდა გამოეყვანა მეტოქე, დაეჩლუნგებინა მისი მთავარი და ბასრი იარაღი.

ამ ტაქტიკური ჩანაფიქრის ზუსტი, უშეცდომო განხორციელება შეხვედრის თავის სასარგებლოდ წარმართვას ნიშნავდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქუთაისელთა გეგმას აკლდა საშემსრულებლო ოსტატობა და ამიტომაც შეხვედრის მეორე ნახევარში მას ბზარი გაუჩნდა.

დასაწყისში კი, ტორპედოელთა მდგომარეობა საკმაოდ მყარი ჩანდა. სტუმრებმა ადვილად მოიგერიეს სასტარტო დაწოლა და ნელ-ნელა მწვავე კონტრთამაში წამოიწყეს. შეხვედრის 22-ე წუთზე სემიგლაზოვის მიერ გატანილ პენალტს პანიკა არ შეუტანია ქუთაისელთა რიგებში. გუნდი თამაშობდა მშვიდად, მონდომებულად და 38-ე წუთზე ხერხაძემ საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა მეორე ნახევარში მანამ, სანამ რახმანოვმა არ დააწინაურა თავისი გუნდი. ამის შემდეგ კი თამაშის საერთო ნახაზი შეიცვალა. გამოფხიზლდნენ ქუთაისელები, გააქტიურდნენ მასპინძლებიც. ზედიზედ სახიფათო მომენტები შეიქმნა ორთავე კართან, მაგრამ მინიმალური უპირატესობა ბაქოელთა სასარგებლოდ მატჩის ბოლომდე დარჩა ძალაში.

**ნ. სმირნოვი.**

„ა" კლასი I ჯგუფი

„ბ" კლასი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები III და IV ზონებში.

### III ზონა

„ტორპედო" (არმავირი)—„ალაზანი" (გურჯაანი) 1:0, „უროჟაი" (ლაბინსკი) — „დილა" (გორი) 1:1, „უროჟაი" (მაიკოპი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1, „ურალანი" (ელისტა) — „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) 1:2, „უროჟაი" (სვეტლოგრადი) — „დაშკინი" (ზაქათალა) 0:0, „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) — „არაზი" (ნახიჭევანი) 3:1, „სპარტაკი" (ორიოლი) — „ენერგია" (ვოლჟსკი) 2:1, „შრ. რეზერვები" (კურსკი) — „ტრუდი" (ენგელსი) — 0:1, „სპარტაკი" (ბელგოროდი) — „ხიმიკი" (ბალაკოვო) 0:0, „უროჟაი" (სლავიანსკი) — „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) 2:1.

### IV ზონა

„გურია" (ლანჩხუთი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 5:1, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „არაქსი" (ეჩმიაძინი) 0:0, „უროჟაი" (გროზნო) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 2:0, „ირისთონი" (მოზდოკი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 2:0, „უროჟაი" (დერბენტი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:0, „ტრუდი" (კასპიისკი) — „ენგური" (ზუგდიდი) 1:1, „ნარზანი" (კისლოვოდსკი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 1:0.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 32 | 20 | 5 | 7 | 48—18 | 45 |
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 31 | 18 | 8 | 5 | 57—18 | 44 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 31 | 18 | 7 | 6 | 39—31 | 43 |
| „ხიმიკი" (ბალაკოვო) | 32 | 14 | 13 | 5 | 34—16 | 41 |
| „დილა" (გორი) | 30 | 15 | 9 | 6 | 48—19 | 39 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 31 | 14 | 7 | 10 | 28—21 | 35 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 31 | 12 | 10 | 9 | 31—28 | 34 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 31 | 11 | 11 | 9 | 35—28 | 33 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 31 | 12 | 8 | 11 | 43—31 | 32 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 29 | 11 | 9 | 9 | 33—23 | 31 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 31 | 10 | 10 | 11 | 30—27 | 30 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 31 | 10 | 9 | 12 | 25—36 | 29 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 31 | 8 | 13 | 10 | 15—36 | 29 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 30 | 11 | 6 | 13 | 33—35 | 28 |
| „დაშკინი" (ზაქათალა) | 30 | 10 | 8 | 12 | 26—42 | 28 |
| „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) | 30 | 10 | 7 | 13 | 27—32 | 27 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 32 | 7 | 11 | 14 | 23—44 | 25 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 30 | 6 | 11 | 13 | 23—30 | 23 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 30 | 6 | 11 | 13 | 18—31 | 23 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 31 | 4 | 8 | 19 | 20—54 | 16 |
| „ურალანი" (ელისტა) | 30 | 2 | 6 | 22 | 23—60 | 10 |

### IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 31 | 18 | 5 | 8 | 52—31 | 41 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 31 | 14 | 12 | 5 | 35—28 | 40 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 30 | 14 | 11 | 5 | 37—15 | 39 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 32 | 16 | 7 | 9 | 51—34 | 39 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 31 | 15 | 7 | 9 | 41—25 | 37 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 31 | 14 | 8 | 9 | 42—26 | 36 |
| „შუქურა" (კობულეთი) | 32 | 12 | 12 | 8 | 40—35 | 36 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 29 | 12 | 10 | 7 | 38—24 | 34 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 30 | 11 | 11 | 8 | 38—30 | 33 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 30 | 14 | 5 | 11 | 30—29 | 33 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 29 | 11 | 9 | 9 | 33—25 | 31 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 32 | 11 | 8 | 13 | 33—32 | 30 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 31 | 10 | 9 | 12 | 31—32 | 29 |
| „დინამო" (სოხუმი) | 32 | 12 | 5 | 15 | 42—44 | 29 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 30 | 11 | 6 | 13 | 30—37 | 28 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 32 | 8 | 12 | 12 | 23—34 | 28 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 31 | 10 | 5 | 16 | 32—35 | 25 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 30 | 6 | 9 | 15 | 31—46 | 21 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 30 | 6 | 9 | 15 | 20—37 | 21 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 30 | 8 | 3 | 19 | 22—50 | 19 |
| „კახეთი" (თელავი) | 30 | 4 | 7 | 19 | 18—49 | 16 |

# სამართლიანი პროტესტი

როგორც ცნობილია, ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშების ახალი წილისყრის შემდეგ, რომელიც ევროპის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა მოაწყო, სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციებმა პროტესტი განაცხადეს. მაგრამ ევროპის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა უარყო იგი. ბუნებრივია, ზემოაღნიშნული ქვეყნების ფედერაციები ვერ დაეთანხმებოდნენ ასეთ უსამართლო გადაწყვეტილებას.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კიევისა და მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები არ მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში. ეს საქმის კორესპონდენტს ოფიციალურად განუცხადეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში.

პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდიუმის მმართველობამ მიიღო დოკუმენტი, რომელიც გაეგზავნა უეფა-ს. გადაწყვეტილება წილისყრის შედეგების შეცვლის შესახებ ამ დოკუმენტში, მოხსენებულია, როგორც უეფა-ს წესდების უხეში დარღვევა. ამისათვის პასუხი უნდა აგონ უეფა-ს იმ მოღვაწეებმა, რომლებიც გარკვეული მიზნებით ეწინააღმდეგებიან სპორტის კეთილშობილურ იდეებს. პოლონეთის გუნდები „რუხი" და „გურნიკი" მონაწილეობას არ მიიღებენ გათამაშებებში, თუ დისკრიმინაციული გადაწყვეტილება არ შეიცვალა. პოლონეთის ფედერაციის პრეზიდიუმმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ეს 2 პოპულარული ტურნირი ნელ-ნელა ჰკარგავს ავტორიტეტს.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო უნგრეთის ფეხბურთის ასოციაციათა საბჭომ. მანაც გადაწყვიტა გამოიყვანოს გათამაშებიდან „ფერენცვაროში" და „დიერი". ამასთან, მთელ პასუხისმგებლობას იგი აკისრებს უეფა-ს აღმასკომს, რომელმაც ესოდენ უსაფუძვლო დისკრიმინაციულ ზომებს მიმართა.

ტურნირებში მონაწილეობას არ მიიღებენ არც გდრ-ის კოლექტივები, თუ უეფა-მ არ გააუქმა თავისი გადაწყვეტილება. თავისი გუნდები — „ლევსკი" და „სპარტაკი" მოხსნა შეჯიბრებიდან ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამაც.



ფეხბურთი — 68

## 330 წუთი მინდორზე

**კრასნოიარსკი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ენისეისა" და თბილისის „სინათლეს" შორის. პირველი შეხვედრა რომელიც 12 სექტემბერს გაიმართა, დამატებითი დროის მიუხედავად, ფრედ, 1:1 დამთავრდა. მეორე დღეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ 120-წუთიანმა ბრძოლამ უძლიერესი ვერც ამჯერად გამოავლინა. კვლავ ფრე — 2:2.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ მეტოქეები მესამედ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ამჯერად კი „სინათლემ" იმარჯვა — 1:0.

ჩვენი ფეხბურთელების შემდეგი მეტოქე სომხეთის გუნდი იქნება. „სინათლე" მას ხვდება 22 სექტემბერს.

## მასპინძელთა გამარჯვებით

**სოხუმი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა ავიატორთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება ფეხბურთში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, როსტოვის, ალმაათის, თბილისისა და სოხუმის გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოხუმისა და თბილისის კოლექტივები, საინტერესო ორთაბრძოლა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 3:0.

## თ. ხვედელიძის ორი გოლი

პოლტავასა და ხარკოვში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა ფეხბურთში.

პოლტავაში, სადაც ასპარეზობს საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის გუნდი (მწვრთნელი კ. მესხი), ფინალში გასვლისთვის იბრძვიან მოსკოვის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის გუნდები. პირველ წრეში ჩვენმა ფეხბურთელებმა ფრედ — 1:1 დაამთავრეს შეხვედრა აზერბაიჯანელებთან. მეორე წრეში საქართველოს ფეხბურთელთა მეტოქე იყო რუსეთის ფედერაციის გუნდი. ეს შეხვედრა ჩვენების გამარჯვებით აღინიშნა. ერთადერთი გოლი მეტოქის კარში გაიტანა თ. ხვედელიძემ (იგია ავტორი აზერბაიჯანელებთან გატანილი გოლისაც).

## ახალი ამბები

● **მოსკოვი**, 16 სექტემბერი. სპორტსაზოგადოება „ტრუდის" ძალოსანთა საქალაქო პირველობაზე უკონკურსოდ გამოსულმა ქვემძიმე წონის დინამოელმა ი. კოზინმა აკრა 180,5 კგ და 2,5 კგ-ით გააუმჯობესა იუნიორთა საკავშირო და მსოფლიო რეკორდი.

● **კიშინიოვი**, 16 სექტემბერი. ქალაქის გარეუბანში გაიმართა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი 500 კბ სმ-ის მოტოციკლეტებით რბოლაში. ორივე გარბენში ყველას სსრ კავშირის ნაკრებმა აჯობა და ეროვნებათა თასი მოიპოვა. II ადგილზე გავიდნენ გდრ-ის მოტოციკლისტები, III — საფრანგეთის სპორტსმენები.

● **ოდესა**, 16 სექტემბერი. აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი იპოდრომზე მოტორბოლაში. ასპარეზობაში, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, გაიმარჯვეს შორეული აღმოსავლეთის ქალაქ ბლაგოვეშჩენსკის სპორტსმენებმა. სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა გუნდების ტურნირში ჩემპიონი გახდა ესტონეთის სასოფლო სპორტსაზოგადოება „იიუდის" ნაკრები.

● **სოლტ-ლეიკ-სიტი**, 16 სექტემბერი. ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა: 400 მეტრზე რბენაში ლ. ევანსმა ზუსტად 44 წამი აჩვენა და ნახევარი წამით გააუმჯობესა თანაგუნდელ თ. სმიტის მიერ შარშან დამყარებული მიღწევა.



თბილისში ახლახან დამთავრებულ ბადმინტონისტთა საკავშირო პირველობაზე ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა კ. ვავილოვმა. სურათზე თქვენ ხედავთ მას ასპარეზობისას.

ფოტო ხ. კოტორაშვილისა

## ფავორიტები



იანის ლუსისი. ამ ათლეტს ახლა მსოფლიოში იცნობს ყველა, ვინც კი მძლეოსნობაში ერთგვარად გათვითცნობიერებულია და თვალყურს ადევნებს მეხიკოს ოლიმპიადისთვის „სპორტის დედოფლის" რაინდთა სამზადისს. რიგელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ხომ ერთადერთი სპორტსმენია, რომელიც წლეულს შუბს ასე შორს და სტაბილურად ტყორცნის. ლუსისი, იმის გარდა, რომ მსოფლიოს რეკორდსმენია, ოლიმპიურ სეზონში რამდენჯერმე გაცილდა 90-მეტრიან ზღვარს. მეტოქეთაგან მის შედეგს ვერავინ მიუახლოვდა.

როცა შუბის ტყორცნაში № 1 ფავორიტზე ლაპარაკობენ, ლუსისს გულისხმობენ, ხოლო როცა ლუსისზე საუბრობენ, იციან რომ საქმე ეხება მეხიკოს თამაშების ოქროს მედლის პირველ კანდიდატს.



სპორტში ხშირად ასეა: ოლიმპიადისთვის სამზადისში, თამაშების დაწყებამდე გამართულ ტურნირებში ერთნი ამყარებენ მსოფლიოს რეკორდებს, ოლიმპიადის ოქროს მედალს კი სხვები ეპატრონებიან. ასე იყო რომისა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებშიც, როცა ეთიოპიელმა აბებე ბიკილამ მარათონული რბენისას 42 კმ და 195 მეტრი ყველაზე ადრე დაამთავრა და ორივეჯერ ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. ბიკილა მსოფლიოში ახლაც ერთ-ერთი უსწრაფესი მარათონელია, მაგრამ მეხიკოს ოლიმპიადისთვის სამზადისში მასაც გამოუჩნდნენ მეტოქენი. ჯერ იყო და იაპონელმა სასაკიმ მარათონის დისტანცია მანამდე გაუგონარ დროში (2:11.17,0) გაირბინა, შემდეგ კი ავსტრალიელმა კლეიტონმა სასაკის არაოფიციალური მსოფლიო მიღწევა საგრძნობლად გააუმჯობესა — დისტანცია 2 საათსა, 9 წუთსა და 34,2 წამში გაირბინა. კლეიტონს მეხიკოს ოქროს მოპოვება მტკიცედ განუზრახავს, ამიტომაც ყველა დიდ შეჯიბრებაში გამოდის და წარმატებითაც. ამას წინათ გზატკეცილზე 15 მილზე რბენაშიც დაეპატრონა მსოფლიოს მიღწევას. ავსტრალიაში წაილებს თუ არა იგი ოლიმპიადის პირველ ჯილდოს, ამაზე მარათონელთა ტურნირი გვიპასუხებს, ისე კი, კლეიტონი მისი მთავარი პრეტენდენტია.



ცურვის ყოველ სახეობას თავისი ფავორიტი ჰყავს. სპეციალისტები ვაჟებში ოლიმპიური ოქროს მედლების უმეტესობას ამერიკელებს „აკუთვნებენ". ისინი მხოლოდ ბრასითა და გულაღმა ცურვაში ეჭვობენ მათ გამარჯვებას. ხულ სხვა სურათია ქალებში. მართალია, აშშ-ის სპორტსმენებს აქაც საკმარისი ხვედრითი წონა აქვთ, მაგრამ მაინც, ავსტრალიელი და ევროპელი სპორტსმენების სახით, უფრო მეტი მეტოქეები ეყოლებათ. ამის მიუხედავად, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ამერიკელი კ. კოლბი უკონკურენციოა. მან ხომ ჯერ კიდევ მარშან გამოიჩინა თავი და მსოფლიოს რეკორდი 2.25,0-მდე დაიყვანა, წლეულს კი ბევრი შეჯიბრება მოიგო. სპორტი სპორტია, ვინ იცის, მეხიკოში აქნებ კოლბსაც შეხვდეს ღირსეული მეტოქე!

# ოლიმპიური რეკორდები

## ცურვა

### ქალები

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| თავისუფალი სტილი. 100 მ | 59,5 | დ. ფრეზერი (ავსტრალია) | ტოკიო 1964 |
| 400 მ | 4.43,3 | დ. დუნკელი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| ბრასი. 200 მ | 2.46,4 | გ. პროზუმენშჩიკოვა (სსრ კავშირი) | ტოკიო 1964 |
| ბატერფლაი. 100 მ | 1.04,7 | შ. სტაუდერი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| გულაღმა. 100 მ | 1.07,7 | კ. ფერგიუსონი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით | 4.03,7 | აშშ | ტოკიო 1964 |
| კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ | 4.33,9 | აშშ | ტოკიო 1964 |
| 400 მ კომპლექსური ცურვა | 5.18,7 | დ. დევერონა (აშშ) | ტოკიო 1964 |

### ვაჟები

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| თავისუფალი სტილით 100 მ | 53,4 | დ. შოლანდერი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| 400 მ | 4.12,7 | დ. შოლანდერი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| 1500 მ | 17.01,7 | რ. უინდლი (ავსტრალია) | ტოკიო 1964 |
| ბრასი 200 მ | 2.27,8 | ი. ო' ბრაიენი (ავსტრალია) | ტოკიო 1964 |
| ბატერფლაი. 200 მ | 2.06,6 | კ. ბერი (ავსტრალია) | ტოკიო 1964 |
| გულაღმა 200 მ | 2.10,3 | ტ. გრეფი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით | 3.33,2 | აშშ | ტოკიო 1964 |
| 4×200 მ | 7.52,1 | აშშ | ტოკიო 1964 |
| კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ | 3.58,4 | აშშ | ტოკიო 1964 |
| კომპლექსური ცურვა 400 მ | 4.45,4 | რ. როტი (აშშ) | ტოკიო 1964 |

## მძლეოსნობა

### ქალები

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| 100 მ | 11,3 | ვ. რუდოლფი (აშშ) | რომი 1960 |
| 200 მ | 23,0 | ე. მაკგუაირი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| 400 მ | 52,0 | ბ. კატბერტი (ავსტრალია) | ტოკიო 1964 |
| 800 მ | 2.01,1 | ე. პეკერი (ინგლისი) | ტოკიო 1964 |
| 80 მ თარჯრბენი | 10,5 | კ. ბალცერი (გდრ) | ტოკიო 1964 |
| ესტაფეტა 4×100 მ | 43,9 | აშშ | ტოკიო 1964 |
| სიგრძეზე ხტომა | 676 | მ. რენდი (ინგლისი) | ტოკიო 1964 |
| სიმაღლეზე ხტომა | 190 | ი. ბალაში (რუმინეთი) | ტოკიო 1964 |
| ბირთვი | 18,14 | თ. პრესი (სსრ კავშირი) | ტოკიო 1964 |
| ბადრო | 57,27 | თ. პრესი (სსრ კავშირი) | ტოკიო 1964 |
| შუბი | 64,40 | ე. გორჩაკოვა (სსრ კავშირი) | ტოკიო 1964 |
| ხუთჭიდი | 5246 | ი. პრესი (სსრ კავშირი) | ტოკიო 1964 |

### ვაჟები

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| 100 მ | 10,0 | რ. ჰეიესი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| 200 მ | 20,3 | ჰ. კარი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| 400 მ | 44,9 | ო. დევისი (აშშ) | რომი 1960 |
| | 44,9 | კ. კაუფმანი (გფრ) | რომი 1960 |
| 800 მ | 1.45,1 | პ. სნელი (ახალი ზელანდია) | ტოკიო 1964 |
| 1500 მ | 3.35,6 | ჰ. ელიოტი (ავსტრალია) | რომი 1960 |
| 5000 მ | 13.39,6 | ვ. კუცი (სსრ კავშირი) | მელბურნი 1956 |
| 10000 მ | 28.24,4 | უ. მილსი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| 110 მ თარჯრბენი | 13,5 | ლ. კელჰაუნი (აშშ) | მელბურნი 1956 |
| | 13,5 | დ. დევისი (აშშ) | მელბურნი 1956 |
| 400 მ თარჯრბენი | 49,3 | გ. დევისი (აშშ) | რომი 1960 |
| 3000 მ წინაღობებით | 8.30,8 | გ. რულანტსი (ბელგია) | ტოკიო 1964 |
| ესტაფეტა 4×100 მ | 39,0 | აშშ | ტოკიო 1964 |
| 4×400 მ | 3.00,7 | აშშ | ტოკიო 1964 |
| სპორტული სიარული 20 კმ | 1:29.34,0 | კ. მეტიუსი (ინგლისი) | ტოკიო 1964 |
| 50 კმ | 4:11.12,4 | ა. პამიჩი (იტალია) | ტოკიო 1964 |
| სიგრძეზე ხტომა | 812 | რ. ბოსტონი (აშშ) | რომი 1960 |
| სიმაღლეზე ხტომა | 218 | ვ. ბრუმელი (სსრ კავშირი) | ტოკიო 1964 |
| | 218 | ჯ. თომასი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| სამხტომი | 16,85 | ი. შმიდტი (პოლონეთი) | ტოკიო 1964 |
| ჭოკით ხტომა | 510 | ფ. ჰანზერი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| ბირთვი | 20,33 | დ. ლონგი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| ბადრო | 61,00 | ა. ორტერი (აშშ) | ტოკიო 1964 |
| შუბი | 85,71 | ე. დანიელსენი (ნორვეგია) | მელბურნი 1956 |
| ურო | 69,74 | რ. კლიმი (სსრ კავშირი) | ტოკიო 1964 |
| ათჭიდი | 8.063 | რ. ჯონსონი (აშშ) | რომი 1960 |

## ოლიმპიური საათი...

◆ პრაღა, 17 სექტემბერი. მეხიკოს გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური გუნდის ორი ჯგუფი, რომელთა შორის არიან ევროპის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ლ. დანეკი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონები, მოკრივე ბ. ნემეჩეკი, ნიჩბოსანი ვ. კოზაკი, ქვეყნის ჩემპიონი, მოცურავე ო. კოზიჩოვა და სხვები.

◆ ფენიქსი, 17 სექტემბერი. გფრ-ის ოლიმპიური გუნდის მონაწილეთა უმრავლესობა ჩავიდა არიზონის შტატში, სადაც 2.000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ადგილობრივი უნივერსიტეტის სპორტულ ბანაკში ჩაატარებს უკანასკნელ ვარჯიშებს. ჯგუფში არიან მძლეოსნები, ძალოსნები, მოჭიდავეები, მოფარიკავეები, ველოსიპედისტები და მოკრივეები.

◆ ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში ამერიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ძმები რ. და დ. ჯეიმსები. მათ ახლახან დამთავრებულ შესარჩევ შეჯიბრებაში (სან-დიეგო, კალიფორნიის შტატი) დაამარცხეს მთავარი მეტოქენი და მოიპოვეს მეხიკოში გამგზავრების საგზური.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტულ ცაზე

**სპიდვეი** (წიდიან ბილიკზე მოტორბოლა). „ლოკომოტივის" სტადიონი. 18 სექტემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალები. მონაწილეობენ: თბილისის, ლვოვის, დაუგავპილსისა და ელისტის გუნდები. დასაწყისი 17 ს.

**ველოსპორტი.** ველოსტადიონი. 18 სექტემბერი. საქართველოს თასის გათამაშება. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 00883